

# სოციალ-დემოკრატი

Edition , LE JEUNE SOCIAL DEMOCRATE“ Géorgienne

გამდგემა საქ. ახალგაზდა მარქსისტთა ორგანიზაციის სახლვარგარეთელ დეგეგაციის  
მეხუთე რვეული. პარიზი, ივლისი 1929 წ. Paris, Juillet, 1929. Cinquième cahier.

## ჩვენი პარტიული პროგრამისათვის.

### II.

პირველ წერილში ჩვენ განვიხილეთ, თუ რაში მდგომარეობს ჩვენი პარტიის საბოლოო მიზანი. ესლა საქირთა გავარკვიოთ განვითარების ის ტენდენციები, რომელიც ჩვენი მიზნის ანუ სოციალიზმის განხორციელებას აუცილებლათ ხდიან.

ჩვენი მოძრაობა მიზნათ ისახავს სოციალიზმის დამყარებას. სოციალიზმი კი, როგორც ჩვენ აღვნიშნეთ წარმოადგენს დიდ ზნეობრივ იდეალს, ახალ კულტურულ ღირებულებას. ჩვენ მივეციტ სოციალიზმს ამგვარათ ეთიკური დასაბუთება. ჩვენ ვაღიარეთ ამასთანავე, რომ სოციალისტური მოძრაობა არ უნდა ემყარებოდეს მხოლოდ ეთიკურ იდეოლოგიას, არამედ ამავე დროს მარქსიზმს, როგორც მის მეცნიერულ საფუძველს. \*)

ჩვენ ვიბრძვით სოციალიზმისათვის, ვინაიდან მას კაცობრიობის განათვისუფლება მოაქვს. ამასთან ერთათ ჩვენ, როგორც მარქსისტები, დარწმუნებული ვართ, რომ სოციალიზმი განხორციელდება აუცილებლათ, როგორც ისტორიული განვითარების შედეგი.

აი სწორეთ ამ აუცილებელ განვითარების იდეაზე არის აშენებული მარქსიზმი, მეცნიერული სოციალიზმი. როგორია ამ განვითარების ტენდენციები?

ამ ტენდენციებს ორგვარი ხასიათი აქვთ—მატერიალური და იდეოლოგიური. ეს იდეოლოგიური ფაქტორი იბადება განსაკუთრებულ მატერიალურ პირობების გავლენით. როდესაც მარქსიზმი მატერიალურ პირობებზე ლაპარაკობს, ის ამაში სრულიად არ გულისხმობს უსულო მატერიას, როგორც ამას მარქსის კრიტიკასები გაიძახიან. ეს რომ ასე იყოს, მაშინ მატერიალურ ფაქტორის გავლენა იდეოლოგიურზე აბსურდი იქნებოდა: არსებითათ კი, როგორც მატერიალური ისე იდეოლოგიური ფაქტორი ერთ და იმავე სფეროში, სახელდობრ ადამიანში, მის არსებობაში, მის შეგნებასა და მოქმედებაში—იმყოფება, და ამგვარათ მათ შორის შემეცნების კრიტიკის თვალსაზრისით არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს.

მატერიალური პირობები, მარქსიზმის თვალში, წარმოადგენენ ეკონომიურ ცხოვრებას, ეკონომიას. რა არის მერე ეკონომია თუ არა განსაზღვრულ მიზნებით აღჭურვილ ადამიანთა ურთიერთობა და მოქმედება-ცხოვრებისათვის აუცილებელ საგნების შექმნის და განაწილების პროცესში?

ეკონომიურ ურთიერთობას, წარმოებას აქვს განსაკუთრებული ფორმა, რომელიც დამოკიდებულია საწარმოო ძალებზე. რა არის საწარმოო ძალები? ყველა ის ფაქტორი რომელიც აუცილებელია მეურნეობისათვის. «კაპიტალის» სამ ტომში სხვა და სხვა ადგილას ვხვდებით საწარმოო ძალების დეფინიციას. მარქსის აზრით საწარმოო ძალებს შეადგენენ: ბუნება; ტექნიკური იარაღები, რასიული თვისებები, ადამიან-

\*) იხ. «ახალგაზდა სოციალ-დემოკრატი»—ივნისი 1928 წ.

ნის ცოდნა, გონება, ნებისყოფა, სურვილი უკეთეს ცხოვრებისადმი... წარმოება ცხადია არ წარმოადგენს უსულო პროცესს, ვიმეორებთ ჩვენ.

წარმოების განსაკუთრებული ფორმა იწვევს თავისებურ სოციალურ ურთიერთობას, სოციალურ ფსინოლოგიას, თავისებურ, უფლებრივ და პოლიტიკურ ნორმებს, მსოფლმხედველობას, საერთოთ ეგრეთ წოდებულ იდეოლოგიას, რომელიც მარქსის სიტყვით ეკონომიის ზედნაშენს წარმოადგენს.

ეკონომიურ ცვლილებას თანდათან მისდევს იდეოლოგიის ცვლილება და ასე, სოციალიზმისათვის აუცილებელი იდეოლოგიური პირობები გამოწვეულია თვით ეკონომიურ განვითარების, ე. ი. როგორც ზევით ვთქვით განსაკუთრებული მატერიალურ ტენდენციების ზედავლენით.

რაში მდგომარეობს ეს მატერიალური ტენდენციები?

- 1) მსხვილი წარმოების შექმნა (Grossbetrieb—კაპიტალის კონცენტრაცია).
- 2) საწარმოო იარაღთა თავმოყრა მცირე ჯგუფის ხელში (ცენტრალიზაცია).
- 3) კერძო საკუთრების, როგორც იურიდიულ ინსტიტუტის ზედმეტობა წარმოებისათვის.
- 4) წარმოების ორგანიზაცია (წარმოების მიზანშეწონილი ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა).

5) კონკურენციის თანდათანობითი მოსპობა და მონოპოლის დაწესება.

6) წარმოების ტიპიზაცია (სტანდარდიზაცია).

7) მსოფლიო მეურნეობის შექმნა.

ყველა ეს ელემენტები ჰქმნიან ეკონომიურ საფუძველს სოციალიზმისთვის. იქ სადაც ეს ელემენტები არსებობს შესაძლებელია სოციალიზმის განხორციელება. გავარკვიოთ დაწვრილებით ეს ელემენტები, რომელნიც მოასწავებენ ეგრეთწოდებულ «სიმწიფეს სოციალიზაციისათვის».

დიდი წარმოება ბუნებისმეტყველების, ტექნიკის და კერძოთ მაშინიზმის უაღრეს განვითარების შედეგია. ის წარმოიშვა და განვითარდა ამ უკანასკნელ ორ საუკუნის განმავლობაში. მართალია, არსებობდა დიდი წარმოება ამ ორიათის წლის წინეთაც, მაგრამ მას სულ სხვა ხასიათი ჰქონდა<sup>\*)</sup>. დიდ წარმოებას იმ დროს მხოლოდ ნედლი მასალის დამუშავების სფეროში ჰქონდა ადგილი, სასოფლო და სამთავარია მაშინ არ არსებობდა კაპიტალისტური წარმოების მთავარი დამახასიათებელი თვისება დაქირავებული შრომა. მონებს არც შეეძლოთ სათუთი შრომა და იარაღის ან მანქანის ხმარება, იმ დროს ასეთი მუშაობა მხოლოდ წვრილ წარმოებაში (Kleinbetrieb) იყო შესაძლებელი, რომელიც ამგვარათ ტექნიკურათ დიდ წარმოებაზე ბევრათ უფრო მალე იდგა.

წვრილი წარმოების ბატონობის ხანაში მშრომელთა იდეალს შეადგენდა საწარმოო საშუალებათა შექმნა და მათი თავისუფალი გამოყენება. თანამედროვე მუშათა კლასი რომელიც ჩართულია მსხვილ წარმოებაში, რომელიც ტექნიკურათ ბევრათ უფრო მალე სდგას წვრილ წარმოებაზე, ვეღარ დაისახავს მიზნათ საწარმოო იარაღთა ინდივიდუალურ საკუთრებას. მისი მატერიალური მდგომარეობის მაქსიმალური გაუმჯობესება შეიძლება მხოლოდ წარმოების სოციალიზაციით.

აი აქ არის თანამედროვე სოციალისტურ მისწრაფების მთავარი მატერიალური საფუძველი.

მეორე მხრით დიდ წარმოების განვითარებასთან დაკავშირებული ხდება საწარმოო იარაღთა მცირე ჯგუფის ხელში თავმოყრა. თანამედროვე საკრედიტო სისტემის განვითარების საშუალებით დღეს სიმდიდრის უდიდესი ნაწილი დაგროვილია ფინანსიურ კაპიტალისტთა ხელში. ერთი მხრით სდგას კაპიტალისტ-მესაკუთრეთა უმცირესობა, რომელიც ისაკუთრებს აგრეთვე მთელ წარმოების მოგებას და მეორე მხრით თვით შექმნილი და მთავარი ფაქტორი წარმოების მშრომელი საზოგადოება. ამგვარათ თვით ეს წარმოება იღებს უფრო და უფრო საზოგადოებრივ ხასიათს.

კერძო საკუთრებამ შეიცვალა თავისი სოციალური ფუნქცია. წინათ, როდესაც

<sup>\*)</sup> იხ. კ. კაუტსკის ნაწერები.

მწარმოებელი, მესაკუთრე თვითონ იყო გამგე და ხელმძღვანელი წარმოების, მაშინ კაპიტალისტური წარმოება აუცილებელი იყო.

დღეს კი სააქციო საზოგადოების ფორმის გაბატონებით, მესაკუთრე, აქციების პატრონი და წარმოებეს ხელმძღვანელი ერთ და იგივე პირს აღარ შეადგენს. მართალია დღესაც სწორათ წარმოების ღირებულებით თვით არის აქციონერი, მაგრამ ეკონომიურათ ეს არ არის აუცილებელი. წარმოების ხელმძღვანელი დღეს სწორათ არის თვით დაქირავებული მუშა, უღარესათ კვალიფიციური მუშა.

ამგვარათ კერძო საკუთრება, ეს იურიდიული ინსტიტუტი, რომელზედაც დამყარებულია კაპიტალისტური საზოგადოება, წარმოებისათვის აუცილებელ ფუნქციას აღარ შეადგენს. მისი მოსპობა აღარ ნიშნავს ეკონომიურათ წარმოების შეფერხებას.

შემდეგ, წარმოების თანდათანობითი ორგანიზაცია ტრესტების, კარტელების და სინდიკატების სახით კონკურენციის მაგივრათ მონოპოლების ბატონობას აწესებს. კონკურენციის დროს ინდივიდუალურ წარმოებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და სადაც კონკურენცია ბატონობს, იქ წარმოების განსაზოგადოებრივობა დიდ საფრთხეს წარმოადგენს. მონოპოლიების დაარსება კი წინააღმდეგ ორგანიზაციულ თვალსაზრისით სოციალისტურ წარმოებას გზას უხსნის.

მონოპოლურ წარმოებასთან დაკავშირებულია წარმოების რაციონალიზაცია და სტანდარდიზაცია, რაიც მოასწავებს ერთნაირი ტიპის საქონლის დამზადებას. ეს უკანასკნელი კი ჰქმნის კიდევ ერთ ტენდენციას სოციალისტური ორგანიზაციისათვის.

თავისუფალი კონკურენცია ქმნის ერთსა და იმავე საქონლის მრავალგვარ ფორმას, წარმოების ორგანიზაცია კი მოასწავებს საქონლის მხოლოდ რამოდენიმე ტიპის შენარჩუნებას, რაც საქონლის პროდუქციის და გასაღების პრობლემას მეტათ ამართივებს. წარმოების მოხმარებასთან შეფარდება, რაც კონკურენციის და კერძო საკუთრების მეფობის დროს გადაუჭრელ პრობლემას შეადგენს, თანდათან უფრო ადვილი ხდება წარმოების ორგანიზაციის გამო.

მეორე მხრით წარმოების რაციონალიზაცია, ერთი ტიპის საქონლის დამზადება და ბაზრის პირობების წარმოებასთან შეფარდება, მეტათ ნიჭიერ მწარმოებლის, ხელმძღვანელის როლს ამცირებს. ამ პირობებში ხელმძღვანელის ფუნქციების შესწავლა შესაძლებელი ხდება. ეს გარემოება კიდევ უფრო აადვილებს სოციალიზმის პრობლემას.

დაბოლოს ნუ დავივიწყებთ ერთ მნიშვნელოვან ტენდენციას, რომელზედაც უკვე მარქსმა მიუთითა «კაპიტალის» მესამე ტომში: ერთი მთლიანი მსოფლიო მეურნეობის შექმნა. ერთი ქვეყნის მეურნეობა მჭიდროთ დაკავშირებულია მეორე ქვეყნის მეურნეობასთან, ამიტომ არ შეიძლება ერთ ადგილას საკუთრების და წარმოების ფორმების რადიკალურათ გარდაქმნა, თუ მან გამოძახილი არ ნახა მეორე ადგილას. კონკურენცია სხვადასხვა ქვეყნებ შორის ისეთივე დაბრკოლებაა სოციალიზმისათვის, როგორც კონკურენცია ერთ ქვეყნის ფარგლებში... მაგრამ წარმოების ორგანიზაცია დღეს ინტერნაციონალურ მასშტაბით ხდება. ამგვარათ სოციალიზმისათვის აუცილებელი პირობა, კონკურენციის მოსპობა და ორგანიზაცია თანდათან მთელ მსოფლიო მეურნეობაში ხორციელდება...

ამით ვათავებთ თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოების მოკლე ეკონომიურ ანალიზს.

ამ რიგათ ტენიკურ-ეკონომიურ თვალსაზრისით სოციალიზმის პირობები მზადდება.

ყველა ეს პირობები ქმნიან მატერიალურ საფუძველს, რომელიც სოციალისტურ ორგანიზაციას შესაძლებლათ ხდის<sup>\*)</sup>.

რით ხდება სოციალიზმის განხორციელება აუცილებელი? როგორ ხორციელდება სოციალიზმი?

სხვადასხვა ჯურის რევიზიონისტები ამტკიცებდნენ და ამტკიცებენ, რომ კა-

\*) ეს ტენდენციები ეხება ინდუსტრიის განვითარებას. სასოფლო მეურნეობაში თავს იჩენს სხვაგვარი ტენდენციები. ეს ცალკე პრობლემას შეადგენს.



პიტალისტური მეურნეობა წელიწადში თავისთავად შეიზრდება სოციალისტურ მეურნეობაში. მუშათა კლასი გაძლიერდება და თანდათან დაიმორჩილებს სხვა კლასებს. კლასთა ბრძოლის მაგივრად მოხდება კლასთა თანამშრომლობა და სოციალურ რეფორმების საშუალებით, პოლიტიკურ ძალაფლების ხელში ჩაუვდება და ურევო-ლიუციოთ, შეიძლება სოციალიზმის თანდათანობით შემოღება.

რევინიონიზმი იმდენად სწორია, რამდენად მართლა (მარქსის თვალსაზრისით) სოციალიზმი ერთბაშად კი არა არამედ დიდი ხნის მძიმე პროცესის შემდეგ განხორციელდება. მაგრამ ამ «შეზრდის» თეორიის მომხრენი ივიწყებენ, რომ კაპიტალისტურ განვითარებას მოყვება არა მარტო მუშათა კლასის, არამედ აგრეთვე ბურჟუაზიის გაძლიერებაც. კლასთა ბრძოლა მუშავდება ამ ორ დარაზმულ და მძლავრად შეკავშირებულ ბანაკთა შორის შენელების ნაცვლათ. ეკონომიურ განვითარებამ თან მოიტანა ინდუსტრიალურ მონოპოლიების და ფინანსიურ კაპიტალის ბატონობა, და ამ ბატონობის მატარებელი სრულიად არ ფიქრობენ მუშათა კლასთან თანამშრომლობაზე და სოციალიზმის თანდათანობით შემოღებაზე. პირიქით სოციალიზმის განხორციელება ხდება ბრძოლის საგნად.

მეორე სულ საწინააღმდეგო აზრს წარმოადგენს ეგრეთ წოდებული გადატაკების და კატასტროფის თეორია, რომელსაც სოციალიზმის შემარცხენე ფრთა რ. ლიუქსემბურგის სახით იცავდა. მარქსის კრიტიკოსებს, როგორც მაგალითად ტუგან-ბარანოვსკის და ზომბარტს, ეს თეორია მიაჩნიათ როგორც მარქსისტული სისტემის განუყრელი ნაწილი. ეყრდნობიან რა «კომუნისტურ მანიფესტს» სადაც მარქსი პროლეტარიატის გადატაკების, პუპერინიზმის და გადაგვარების ტენდენციას ლაპარაკობს, ისინი გაიძახიან, რომ ცხავრებამ სულ სხვა დაამტკიცა და რომ მარქსი ერთხელ კიდევ შეცდა.

ეს კრიტიკა სრულიად უსაფუძვლოა, ვინაიდან ის ანგარიშს არ უწევს მარქსის აზროვნებას დიალექტიურ ხასიათს. გადატაკება, პუპერინიზმის ზრდა—ეს არის კაპიტალიზმის ტენდენცია, რომელსაც უპირდაპირდება მეორე საწინააღმდეგო ტენდენცია, მუშათა კლასის ზრდა და ბრძოლა მისი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ასე რომ ფაქტიურად გადატაკებას აღარა აქვს ადგილი საბოლოოთ. გარდა ამისა მარქსს «გადატაკება» (Verleumdung) ფსიხოლოგიურად ესმოდა და არა ფიზიკურად. მუშათა კლასის მდგომარეობა წარსულიდან შედარებით თანდათან უმჯობესდება, მაგრამ საერთო საზოგადოებრივ სიმდიდრის ზრდასთან და კერძოდ კაპიტალისტთა კლასის ფუფუნებასთან შედარებით. ეს გაუმჯობესობა მეტად უმნიშვნელოა. ადამიანთა მოთხოვნილებებს კი რეალიტური ხასიათი აქვს, და ის იზრდება კულტურის განვითარებასთან ერთად. ასე რომ რაც უფრო მეტად იზრდება პროპორციის მიხედვით კაპიტალისტთა კლასის სიმდიდრე, მით უფრო დიდია მუშათა კლასის უკმაყოფილება.

ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში მუშათა მდგომარეობა უზრუნველყოფილი არ არის და ეს განსაკუთრებით პერიოდიულ კრიზისების გამო. ამ კრიზისების თეორიასთან დაკავშირებულია რ. ლიუქსემბურგის თეორია კაპიტალისტურ მეურნეობის დამსხვრევის (Zusammenbruch) აუცილებლობაზე.

მისი აზრით კაპიტალისტურ ქვეყნის ფარგლებში კაპიტალის აკუმულაცია, რეპროდუქცია შეუძლებელი ხდება, წინააღმდეგობა კაპიტალის ზრდისა და მოგების რეალიზაციის შორის გადაულახავი რჩება, ზედმეტი ნაწარმოების გასაღება არ ხდება, აქედან წარმოსდგება კრიზისები, რომელიც თანდათან ძლიერდება და დაბოლოს კაპიტალიზმს კატასტროფას უმზადებენ. კაპიტალი იძულებულია დასტოვოს თავისი ქვეყნის ფარგლები და გადავიდეს აგრარულ ქვეყნებში... ამ ტენდენციამ წარმოშვა თანამედროვე იმპერიალიზმი, ჩამორჩენილ ერების ძალით დამორჩილება. მას შემდეგ, რაც აგრარულ ქვეყნების კაპიტალიზაცია მოხდება, კაპიტალს გასაღება აღარ ექნება და მაშინ კატასტროფა აუცილებელია. მისი აზრით, სანამ კაპიტალი თავის ზრდის ბუნებრივ საზღვარს მიაღწევდეს, კრიზისებით და საერთო გაჭირებით მოთმინებიდან გამოსული საერთაშორისო პროლეტარიატი აჯანყდება და დაამსხვრევს კაპიტალიზმს.

ამგვარად რ. ლიუქსემბურგის სქემა კატასტროფის იდეაზე არის აშენებული.

ეს შეხედულობა, რათქმა უნდა შემცდარია. თუ მართლა მარქსი და ენგელსი იმ ტენდენციებზე ლაპარაკობენ რომელზედაც რ. ლიუქსემბურგი აშენებს თავის თეორიას, აგრეთვე მართალია ის, რომ მეცნიერულ სოციალიზმის დამაარსებელი ამ ტენდენციებს საწინააღმდეგო ტენდენციებს უპირდაპირედენენ, რომელიც ეკონომიურ კატასტროფას შეუძლებლათ ხდიან. წარმოების ორგანიზაცია, რომელიც თანდათან ძლიერდება და რომელზედაც რ. ჰილფერდინგს თავის მაგისტრალურ შრომაში «ფინანსიურ კაპიტალში» საკმაო არგუმენტაცია მოჰყავს, თუმცა კრიზისებს არ სვობს, მაგრამ კაპიტალიზმის ავტომატიურ დამსხვრევას შეუძლებლათ ხდის.

მეორე მხრით ოტო ბაუერიმა ნათლათ დაამტკიცა \*) რომ თეორიულათ კაპიტალის აკუმულაცია წმინდა კაპიტალისტურ ეკონომიის ფარგლებში სრულიად არ არის შეუძლებელი, რაც რ. ლიუქსემბურგის შეხედულებას აუცილებელ კატასტროფის შესახებ საესებით აბათილებს.

არც შეზრდა, არც კატასტროფა.

სოციალიზმი ხდება აუცილებელი განსაკუთრებულ მომენტში, ვინაიდან საზოგადოების უდიდეს ნაწილს მისი განხორციელება შეგნებულათ სწადია. ეს წადილი, ეს ნებისყოფა იბადება განსაკუთრებულ ეკონომიურ პირობებში, რომელიც წარმოშვა თანამედროვე კაპიტალისტურ განვითარებამ და რომელიც ჩვენ ზევით დავახსიანათ.

ამ განვითარებამ განხორციელა კაპიტალის უაღრესი კონცენტრაცია, რომელიც თანდათან ფართოვდება, მან მთელი საზოგადოება ორ ბანაკათ დაყო: ერთი მხრით სდგას კაპიტალისტთა მცირე ჯგუფი, რომელიც საკუთრების უფლების ძალით ბატონობს მთელ საზოგადოებაზე, ხოლო მეორე მხრით—საზოგადოების დიდი უმრავლესობა, რომელიც არის წარმოების სოციალური შემქმნელი. აქ არის კაპიტალიზმის მთავარი წინააღმდეგობა თავის უკიდურეს ფორმაში გამოხატული, წინააღმდეგობა წარმოების საზოგადოებრივ ფორმისა და შრომის ნაყოფის მითვისების კერძო ხასიათის შორის. ეს წინააღმდეგობა ბადებს სოციალურ ანტაგონიზმს, კლასთა ბრძოლას, რომელიც უწინარეს ყოვლისა იდეოლოგიურ ფორმებს იღებს.

საზოგადოების ორ ნაწილათ დაყოფა ჯერ არ არის დამთავრებული, ჯერ კიდევ არსებობს საშუალო წრეები, რომელიც როგორც ეკონომიურათ ისე იდეოლოგიურათ არც ერთ ბანაკს არ ეკუთვნიან, მაგრამ ეს დიფერენციაცია ჩქარის ტემპით წინ მიდის.

წვრილი მესაკუთრენი, ხელოსნები, მოხლეები, ინტელიგენციის დიდი ნაწილი თანდათან უერთდება პროლეტარიატს, რომელიც თავის ეკონომიურ მდგომარეობის გამო სოციალურ რევოლიუციის მებაირადტრეა. ჯერ კიდევ საზოგადოების დიდი ნაწილი კაპიტალისტთა წრის ვავლენის ქვეშ იმყოფება. მაგრამ სოციალისტური იდეოლოგია თანდათან იპყრობს საზოგადოების უმრავლესობას.

ამ გზით უნდა იყოს მიმართული პროლეტარიატის მეთაურის, სოციალ-დემოკრატიულ ინტერნაციონალის მთავარი ყურადღება. მაშინ, როდესაც საზოგადოების უდიდესი ნაწილი შეიგნებს სოციალისტურ იდეალის სიდიადეს და ზნეობრივათ, ინტელექტუალურათ მომზადებული იქნება სოციალიზმის განსახორციელებლათ, მაშინ და მხოლოდ მაშინ დაჰკრავს ყამი სოციალურ განახლების.

ამ შემეცნებაზე ეყრდნობა ჩვენი მოთხოვნილება პოლიტიკურ დემოკრატიისა.

ამაზე შემდეგ.

ი. ხუნდაძე.



\*) მისი წერილები კაპიტალის აკუმულაციის შესახებ «Neue Zeit»-ში.

## გლეხთა საკითხი და სოციალ-დემოკრატია

არც ერთი სოციალისტური პარტია წარსულში გლეხთა საკითხს არ აქცევდა სერიოზულ ყურადღებას. ამ მხრივ მხოლოდ საქართველოს სოციალ-დემოკრატია და რუსეთის ესერები შეადგენენ გამონაკლს. მარქსისტული პარტიებიდან ჩვენი პარტია ერთადერთია, რომელმაც თავის პრაქტიკულ პოლიტიკაში ამ საკითხის შესახებ გავრცელებული დოქტრინარობა გადალახა გლეხთა საკითხს შესაფერი ყურადღება მიაქცია, მათი ფართე მასები შეეკავშირა და რევოლუციონურ მოძრაობაში ჩააბა. აი აქ გამოჩნდა ჩვენი პარტიის მჭიდრო კავშირი ცხოვრებასთან და ხალხთან, მისი პრაქტიკული აზროვნება და ამ რიგით პრაქტიკაში მან იმ თავიდანვე გადალახა ყველგვარი დოქტრინალური მიდგომა საკითხისადმი. მარქსმა სთქვა: ათ კარგ პრეგრამას ერთი კარგი პრაქტიკული ნაბიჯი მირჩევნიაო და აი ეს პრინციპი ჩვენში განსაკუთრებით ღრმად იქნა შეთვისებული.

გლეხთა რევოლუციონურ მოძრაობას საქართველოს სოციალდემოკრატია უკვე ამ საუკუნის დასაწყისიდან ჩაუდგა სათავეში. გლეხების განთავისუფლება ბატონყმური ნაშთებისა და ბიუროკრატიულ უღლისაგან და მათთვის მიწის მოპოება, გადასახადების შემსუბუქება და მათში სწავლა-განათლების გავრცელება, მათი კოლპერატივებში და პოლიტიკურ ორგანიზაციებში შეკავშირება და მათ მიერ პოლიტიკურ მოქალაქეობრივი უფლებების მოპოება—თავიდანვე საქართველოს სოციალ-დემოკრატის სახრუნავი იყო. ბევრი დავა იყო მიწის საკითხზე. სოციალ-დემოკრატია მოითხოვდა მსხვილ მემამულეთათვის მიწის ჩამორთმევას (განსახლებულ ნორმის ზევით) და ამ მიწების გლეხებისათვის გადაცემას. ამ უკანასკნელს ის აპირებდა მუნიციპალიზაციის წესით, მაგრამ თან დასძენდა: თუ ან სადაც მუნიციპალიზაცია რაიმე მიზეზით ვერ მოხერხდება, იქ კერძო საკუთრებათ უნდა გადაეცეს გლეხობასო. და მარლაც; სადაც დადგა კითხვა პრაქტიკულათ, სოციალ-დემოკრატია ჩამოართვა მიწები მემამულეთ და სახელმწიფოს და გადასცა ის გლეხებს კერძო საკუთრებათ. ამით მან დააკმაყოფილა გლეხების სასიცოცხლო ინტერესები, მტკიცე საძირკველი ჩაუყარა ეკონომიურ წინააღმდეგობას და მით სრულიად მოუსპო ნიადაგი ფეოდალურ ურთიერთობას.

რუსულ ბოლშევიკურმა ოკუპაციამ დროებით შესცვალა მდგომარეობა. მან მიწა სახელმწიფო საკუთრებათ გამოაცხადა და გლეხის მეურნეობა თავისი სასტიკი დიქტატორულ-პოლიტიკურ კანტროლის ქვეშ დააყენა, ის დესპოტიურ სალტებში ჩაქედა და უზომო გადასახადების საშვალებით მას უხვად ყვლეფავს.

აქ სოციალ-დემოკრატის ახალი დიდი ამოცანები დაებადა. ერის უცხო მონობისაგან განთავისუფლებასთან ერთად უნდა განთავისუფლდეს ქართველი გლეხი დღევანდელი ეკონომიურ-პოლიტიკურ მონობისაგან. მიწა ხელახლა გლეხის თავისუფალ საკუთრებათ უნდა გამოცხადდეს და მას საშვალება მიეცეს, თავისი მაწაწყალი თავისუფლად განაგოს, გულდამშვიდებით განაყოფიეროს და მოისმაროს. გლეხკაცობას, საგებით, როგორც მუშას, უნდა დაუბრუნდეს მოქალაქეობრივ-პოლიტიკური თავისუფლება და დემოკრატიული მართველობა. პირადი თუ ორგანიზაციული თვითმკმედება. უცხო უღლის და დიქტატურის მოსპობასთან ერთად მოისპობა დღეს გამეფებული მთელი ერისა და გლეხკაცობის ყვოფეა და ასეთი უზომო გადასახადების და საერთოდ გლეხის მეურნეობის დაცემის მიზნებით. ამ მიზნების მისაღწევათ დღეს საქართველოს სოციალ-დემოკრატია ენერგიულათ იბრძვის და მთელი თავისი არსებით ელტვის საკუთრებათ რეჟიმის დაშობას.

შემდეგი კითხვები იქნება თუ რა მოუვა გლეხს შემდეგში? თვით სოციალიზმის დროს? რა გზას ადგია ეკონომიური განვითარება გლეხის მეურნეობის მიმართ? რას უპირებს სოციალისტური წყობილება გლეხის წარმოებას და საკუთრებას? ეს საკითხები ძველია, ისე როგორც თვით სოციალისტური მოძრაობა, მაგრამ ისინი განსაკუთრებით ცხოველყოფლათ არიან დღეს ჩვენთვის ცხოვრების მიერ დასმული, ვინაიდან თანამედროვე ცხოვრება უკვე ახლოს სდგას სოციალიზმთან. თანამედროვე სოციალისტურ პარტიებისათვის ეს კითხვები ლამობენ თეორიულიდან პრაქტიკულ კითხვებათ გადაიქცენ. ეკონომიურ-სოციალური განვითარების უკანასკნელი ხანის ფაქტებმა, ცხოვრების ახალმა გაკვეთილებმა და დაკვირვებებმა, მოითხოვეს ძველ დებულებათა ხელახალი კრიტიკული განხილვა-გადასინჯვა. გამოირკვა, რომ კონცე-



ნტრაციის პროცესი, რომელიც კაპიტალისტურ წყობილებას მრეწველობაში ახასიათებს, სოფლის მეურნეობისათვის ყველა ქვეყანაში არ წარმოადგენს ურყევ კანონს. მართალია ეკონომიურ განვითარებასთან ერთად ყველა ქვეყანაში მსხვილი ინდუსტრია, ვაჭრობა და ტრანსპორტი სახალხო მეურნეობის მეტ ნაწილს თან და თან იპყრობს და პროლეტარიატს ამრავლებს, მაგრამ სოფლის მეურნეობის მნიშვნელობა ზოგიერთ ქვეყნებში კი არ მცირდება, არამედ კიდევ იზრდება. სოფლის მეურნეობა იყო და რჩება უმთავრესი წყარო ადამიანთა კვებისა. მისი მნიშვნელობა ეროვნულ მეურნეობის შიგნით ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ერთგვარ დონეზე ასვლის შემდეგ შესაძლებელია რელატიურათაც გაიზარდოს. ამანიათ გლეხურ წვრილ წარმოებათა რაოდენობის შემცირება სრულიადც არ წარმოადგენს აუცილებელ მოვას. პირიქით, ევროპის კონტინენტის სახელმწიფოებში წვრილი საგლეხო მეურნეობა უმრავლეს შემთხვევებში უძლებს მსხვილის კონკურენციას. ეკონომიური განვითარება გლეხის მეურნეობის გაქრობას არ მოითხოვს; ეს უკანასკნელი არსებობის და განვითარების უნარს მოკლებული არ არის. ის ცხოვრების ღირსია.

მსხვილ მწარმოებელს საზოგადოთ მეტი საშვალეობა აქვს წარმოების ობიექტიური (მეხანიკური) პირობები უკეთ მოაწყოს—უკეთესი მანქანის შექმნით, შრომის განაწილების უფრო ფართო მოწყობით და სხვ. წვრილ წარმოებას, რომელშიაც მესაკუთრე თვითონ მუშაობს, სამაგიეროთ უკეთესი სუბიექტიური პირობები აქვს: პირადი დაინტერესება მუშაობის შედეგით, თავისუფლების გარძობა და პირობებით უფრო ხალისიანი შრომა. სოფლის წარმოებაში სწორედ ამ სუბიექტიურ პირობებს უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. სასოფლო მეურნეობა უმთავრესად ორგანიული წარმოებაა: ორგანიულ არსებათა-მცენარეულობის და შინაური პირუტყვების მოვლა-მომწეება. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს მშრომელის მზრუნველობას, შრომის თვითუდ ობიექტისადმი ნაზად და ყურადღებით მოპყრობას, წრფელ გულდასმით შრომას; აქ შრომის მეხანიზაცია და გარეგანი კანტროლი ძნელია, მთავარია რომ თვითონ მშრომელი იყოს პირადათ ღრმად დაინტერესებული. ამიტომ აქვს სოფლის წარმოებაში განსაკუთრებით მოკიდრი ნიადაგი კერძო მესაკუთრე მშრომელთა წვრილ წარმოებას.

თანამედროვე განათლებულ ქვეყნების სტატისტიკური გამოკვლევი გვიჩვენებენ, რომ რაციონალურად მოწყობილ წვრილ წარმოებას ეროსა და იმავე ზომის მიწაზე მეტი ნაყოფი (იგულისხმება არა მარტო პურეული და სხვა მცენარეულობა, არამედ შინაური საქონელი და მისი პროდუქტები) მოჰყავს, ვინემ აგრეთვე რაციონალურად მოწობილ მსხვილ წარმოებას. სამაგიეროდ წვრილ წარმოებაში გაცილებით მეტი შრომა იხარჯება (რელატიური გამომანგარიშებით. მაგ, თვითუდ ჰექტარზე). ეროსა და იმავე ზომის და ხარისხის მიწაზე თ ვ ი თ ე უ ლ თ ა ნ ა ბ რ ა თ მ შ რ ო მ ე ლ მ უ შ ა ხ ე ლ ზ ე მსხვილ წარმოებაში უმრავლეს შემთხვევაში მეტი ნაყოფი მოუწევს, ვინემ წვრილში. ამიტომ იმ ქვეყნებში, სადაც მიწა უხვად არის და მუშა ხელი კი შედარებით ნაკლები (ამერიკა) რა თქმა უნდა სოფლის მეურნეობაში მსხვილი წარმოება ბატონობს, ხოლო იმ ქვეყნებში, სადაც მიწის სივიწრვე და მუშა ხელის შედარებით სიჭარბეა, მაგ. ევროპაში წვრილი წარმოება ბატონობს და მას მსხვილი წარმოების კონკურენცია ვერ აკოტრებს. პირიქით აქ შესაძლებელია მსხვილ წარმოებათა მიწის ერთი ნაწილის წვრილ წარმოებათა ხელში გადასვლა. ინდუსტრიალიზაციის მძლავრი განვითარება მეორე მხრით ლატაკ გლეხკაცობას ხელსაყრელ სამუშაოს აწვდის და თავისკენ იზიდავს და ამით დანარჩენს საშვალეობა ეძლევა უფრო მსხვილი წარმოებანი გააჩაღონ. მაგრამ ასეთი მიმზიდველ ძალის გავლენის ქვეშაც გლეხი ადვილათ ვერ სტოვებს თავის მეურნეობას და საერთოდ არსებული წვრილი სასოფლო წარმოებათა რიცხვი (გარდა სულ პატარა პარცელარული და ამით ნაკლებათ მიხნთ, შეწონილი მეურნეობისა) იზვიათად მცირდება.

გლეხის წარმოების და საკუთრების გაქრობაში, როგორც ასეთში, სოციალიზმი სრულიად არ არის დაინტერესებული. ამ უკანასკნელის მიხანია მშრომელთა ინტერესების დაცვა, მათთვის საუკეთესო აწმყმოსა და მომავლის გაქედა. მართალია ის ამ მიხნის მისაღწევათ უმთავრეს ეკონომიურ ზომათ აღიარებს სოციალიზაციას მაგრამ მეცნიერულ სოციალიზმს თავიდანვე ესმოდა, რომ ეს ზომა აბსოლიუტურად და ან შაბლონურ-ფანატკური წესით ვერ გათავდება, რომ არსებობს დარგები და კიდევ უფრო პირობები; რომელშიაც სოციალიზაცია ვერ გატარდება. გამოირ-

რკვა, რომ წვრილი სასოფლო წარმოების სოციალიზაცია მიზანშეწონილი არ არის და კერძო საკუთრება უფრო ხელსაყრელია. სოციალიზმიც ამ ფაქტს უნდა შეუბრუნდეს სიამოვნებით. თანამედროვე სოციალიზმიც აცხადებს, რომ ის გლეხის კერძო საკუთრებას და წარმოებას კი არ ებრძვის, არამედ ის მის განმტკიცებას და აყვავებას ემსახურება. რჩება ამას შემდეგ სოციალიზმს უფლება თავის სახელი ატაროს? რასაკვირველია. ვიჭრობა-მრეწველობის და ტრანსპორტის, მინერალების, წყლების, ტყეების და მსხვილ სასოფლო სამეურნეო წარმოებათა უდიდესი ნაწილის სოციალიზაცია, რაც სოციალიზმს აუცილებლათ მიაჩნია უთუოთ საქმაო საბუთია ამისთვის.

რასაკვირველია შესაძლებელი არის, რომ ინდუსტრია სოციალიზაციის გამო ისეთი სწრაფი ნაბიჯით აღორძინდეს დი ამის გამო მუშათა კეთილდღეობა და მოთხოვნილება მუშა ხელზე ისე გაიზარდოს, რომ ბევრი ღარიბი გლეხისათვის ძლიერ ხელსაყრელი და ადვილი გახდეს თავისი სასოფლო მეურნეობისათვის თავის დანებება და ქალაქის მუშათა გახდომა. ასეთ განვითარებას შეუძლია მეტის მეტად წვრილი და საერთოდ არა რაციონალური მეურნეობანი გააქროს და მათ ადგილას უფრო ღონიერი და მიზანშეწონილი გლეხური ან მსხვილი წარმოებანი წარმოშვას. ეს განსაკუთრებით მოსალოდნელია ისეთ ქვეყნებში, სადაც აქამდე ინდუსტრია მეტად ნელის ტემპით ვითარდებოდა და ჩამორჩენილა, სადაც ამის გამო ან სხვა მიზეზებითაც, კერძო საკუთრება და წარმოება მიწაზედ მეტის მეტად დანაწილებულ-დაქუცმაცებულია და სადაც ინდუსტრიის ძლიერი განვითარების შესაძლებლობა არსებობს. ასეთი პირობებია მაგ. ჩვენში (და აგრეთვე შორეულ აღმოსავლეთში), სადაც გლეხს საშუალოთ გაცილებით ნაკლები მიწა აქვს, ვინემ რუსეთში, ევროპაში და ამერიკაში. რასაც ჩვენში «კულაკს» უძახიან, იმას ევროპაში წვრილ გლეხსაც ძლივს დაუძახებენ. ჩვენებური მეტად წვრილი და უღონო წარმოების პატრონი გლეხი შეიძლება წავიდეს აყვავებულ ინდუსტრიაში და სოფლად უფრო ღონიერი და მიზანშეწონილი მეურნეობანი დარჩეს. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სასწაულოთმოქმედებას არც სოციალისტური ინდუსტრიაიდან უნდა მოველოდეთ და ის კანონი, რომ გლეხი მარტო ეკონომიურ-რაციონალური მოსაზრებით ადვილათ არ შორდება თავის უკვე მოწყობილ მეურნეობას, სოციალიზმის დროსაც ძალაში იქნება, მით უმეტეს რომ სოციალიზმი ამით მდგომარეობასაც შეძლებისდაგვარათ გაეუმჯობესებს. ყველა მშრომელთა და ტვირთმძიმეთა ხვედრის გაუმჯობესება, მათი ეკონომიურ-კულტურულ მდგომარეობის ამაღლება—აი სოციალიზმის მაღალი მოწოდება. ამას გლეხიც ისევე უნდა მოელოდეს როგორც ქარხნის მუშა. ამ რიგათ გლეხის რაციონალური და მიზანშეწონილი წარმოება და მისი კერძო საკუთრება სოციალიზმის დროს კი არ დაინგრევა. არამედ პირიქით—აყვავდება.

სოფელს თავისი ბუნებრივი და ქალაქს კიდევ თავისი კულტურული უპირატესობანი აქვთ. მომავალმა საზოგადოებამ ეს წინააღმდეგობა შეძლებისდაგვარათ უნდა შეამციროს და ნაკლებათ საგრძნობი გახადოს. მან ქალაქში უნდა გადაიტანოს მეტი ბუნება და სოფელში მეტი კულტურა. ამისათვის წვრილ წარმოებათა მოსპობა სრულიადაც არ არის აუცილებელი. პირიქით, ის მით რომ მეტ მუშა ხელს იტევს და იმავე მიწა-წყალზე მეტ ნაყოფს იძლევა, მით რომ ის საერთოდ მეტ მცხოვრებთ იწახავს—რაც მცხოვრებთა მოსალოდნელ გამრავლებასთან მეტად საყურადღებო მომენტებია,—უფრო მეტადაც კი ამცირებს წინააღმდეგობას ქალაქსა და სოფელს შუა და სოფლის ერთგვარ «გაქალაქებას» (მცოვრებთა შეჯგუფება) ხელს უწყობს.

რასაკვირველია სოციალიზმი ვერც მსხვილი წარმოების წინააღმდეგი გახდება. მას კარგათ ემისი ამის უპირატესობანიც და მისი აუცილებლობაც განსაზღვრულ პირობებში. მსხვილი წარმოება—იქნება ის სეფელმწიფოს, თუ საზოგადოების ხელში ალბათ თავისუფალ სამეურნეო კონკურენციაში დარჩება წვრილთან, რომ კითხვა მათმა სამეურნეო ვარჯისობამ გადასჭრას, ისე კი რომ საზოგადოების უმაღლესმა კანტროლმა მთელი ერის სახალხო მეურნეობის ინტერესების მიხედვით შეკვეცოს კონკურენციის უარყოფითი გავლენები. ამას გარდა სახელმწიფოს კარგათ უნდა ესმოდეს რომ მარტო კონკურენციის და ბაზრის კანონები, რომლებიც სოფლის მეურნეობაში გაცილებით უფრო სუსტათ და შებოროკლათ მოქმედებენ, ვინემ ვაჭრობა-მრეწველობაში, სამეურნეო განვითარებისათვის სრულიად არ კმარა და სისტემატიური სახელმწიფოებრივი დამხმარე ზომებით უნდა აღამაღლოს სასოფლო მეურნეობა. ეს იქნება



კონტროლი და დახმარება ხალხის მიერ შექმნილ თავისუფალ ორგანოთაგან და არა მსგავსი მოსკოვის ძალათმაცხვენე ტირანიისა. ეს იქნება მზრუნველი ზედამხედველობა რაიმე აშკარად მკენებელ მოქმედებათა წინააღმდეგ და არა მსგავსი მოსკოვის სულისშემხუთველ რეჟიმისა. არა გლეხის წარმოების მოშლა და გაჩანაგება. როგორც ამას ბალშევიზმი სიამაყით სჩადის, არამედ მისი ხელის შეწყობა და აღორძინება—აი თანამედროვე სოციალიზმის მიზანი.

ეს აზრი, დღეს უკვე გაბატონებული, საერთაშორისო სოციალდემოკრატიამ, განსაკუთრებით მკაფიოდ და ერცლად დაასაბუთა ეს აზრი პირველად ომის შემდეგ ხანებში ავსტრიის სოციალდემოკრატიამ 1925 წლის პარტიულ ყრილობაზე და გერმანიის სოციალდემოკრატიამ 1927 წელს კილის ყრილობაზე. ორივე პროგრამა ხაზგასმით აცხადებს, რომ სოციალდემოკრატია მშრომელი გლეხის საკუთრებას კი არ ებრძვის, არამედ მთელი თავისი ძალდონით მას მხარს უჭერს, რომ სოციალიზმი გლეხის საკუთრებას კი არ მოსპობს, არამედ განამტკიცებს. რომ სოციალიზმი გლეხს კაპიტალის მოწოდების და ექსპლუატაციისაგან გაათავისუფლებს, მის წარმოებას კი არ დაანგრევს, არამედ, პირიქით, გაამაგრებს და ააყვავებს. რაციონალური, დემოკრატიული-სოციალისტური წესით განსაზოგადოებრივებული მსხვილი ინდუსტრია, ვაჭრობა და ტრანსპორტი გააიფებს ინდუსტრიალურ ნაწარმოებთ და ამით დიდ სარგებლობას მოუტანს გლეხს; განსაზოგადოებრივებული კაპიტალი უფრო ადვილად და უფრო ხელსაყრელ პირობებში დაეხმარება მას. რაციონალურად მოწყობილი საზოგადოებრივი წარმოებანი ხელს შეუწყობენ გლეხის მეურნეობის აღორძინებას. სოციალისტური საზოგადოება აგრეთვე დიდად ხელს შეუწყობს გლეხკაცობის სხვა და სხვა მიმხმარებელ და მწარმოებელ ორგანიზაციებში შეკავშირებას. ის ხელს შეუწყობს ეკონომიკურად მიზანშეწონილ ცდათა და კოლექტიურ მეურნეობათა გავრცელებასაც. მაგრამ ყველაფერი ეს იქნებ—დემოკრატიული, თავისუფალი და ნებაყოფლობითი მუშაობა და არა მსგავსი მოსკოვილთა ექსპერიმენტებისა. სოციალისტური საზოგადოება ხელს შეუწყობს და აღამაღლებს გლეხის კეთილდღეობას, მაშინ როდესაც ბოლშევიკური ბარბაროსობა ძირს უთხრის და აჩანაგებს მას.

ერთი სიტყვით სოციალიზმს გლეხისთვის წასართმევი არაფერი აქვს, მისაცემი კი ძალიან ბევრი; და მშრომელი გლეხკაცობა სრულიადაც არ უნდა უფრთხოდეს სოციალიზმს. ის, პირიქით, უმდა ეტრფოდეს მას, ის უაღრესად დაინტერესებულია მის დაახლოვება-განხორციელებაში. ცხოვრებამ დაგვანახა და ამისთვის მარტო საქართველომ მაგალითი რად ღირს, რომ გლეხკაცობას კარგად შეუძლია სოციალისტურ მოძრაობაში ჩაებას და მის გასამარჯვებლად ქალაქის მუშასთან ერთად ხელი ხელ ჩაკიდებული იბრძოდოს. რასაკვირველია ევროპის გლეხკაცობა გაცილებით უფრო შეძლებულია ვინემ ჩვენი, მაგრამ აქაც აქა-იქ უკვე იკიდებს ფეხს სოციალდემოკრატია-მშრომელი გლეხკაცობის გარკვევა და მომხრობა დღეს ევროპის სოციალისტურ პარტიების უდიდეს ამოცანათ არის გამხდარი. ამ შეგნებით თანამედროვე სოციალიზმმა გლეხობის საწინააღმდეგო იდეოლოგია მოიშორა, რომელიც მარქსსაც ხშირად ახასიათებდა ეს მარქსისტული მოძღვრების უარისყოფას სრულიადაც არ ნიშნავს. პირიქით. მარქსისმის ძირითადი პრინციპები და მარქსისტული მეთოდ თვითონ გვაგონებს ძველ შეცდამათა—თუნდაც ეს თვით მარქსს ეკუთვნოდეს—უკუგდებდას. ანტიგლეხური იდეოლოგია მარქსისმის ძირითად საფუძვლებს სრულიადაც არ ეკუთვნის. აღნიშნულ ახალ იდეოლოგიას და პროგრამას გლეხის საკითხში აღიარებენ პირველყოფლისა—როგორც უკვე ვსთქვით—ყველაზე მარქსისტულ-ორტოდოქსალური პარტიები: ავსტრიისა და გერმანიის.

მშრომელი გლეხი. ისე როგორც დაქირავებული მუშა და მშრომელი ინტელიგენტი ეკუთვნის თანამედროვე სოციალიზმის მთლიან ლაშქარს. მათი მტკიცე და ძმური შეკავშირება სოციალდემოკრატიის რიგებში იქნება სოციალიზმის გადაწყვეტილი გამარჯვება, ეს ძმური კავშირი დაამსხვრევს ყოველგვარ ჩაგვრას და განაახლებს კაცობრიობას.

ნ. იმნაიშვილი.

### 8 0 6 ა რ ი ა ნ ე!..

ქართველი ერის ტანჯვა გრძელდება. მის ფიზიკურ არსებობას ემუქრება მოსკოვის ბარბაროსთა შტაბი. მათ ლაშქართა თარეშს ბოლო არ უჩანს ჩვენს სამშობლოში. სისტემატიურათ იგზავნება ჩვენი ძმების და დების ახალ-ახალი ჯგუფები რუსეთის ცივ მხარეებში, სადაც აუტანელ პირობებში დალუპვა მოელოთ. ჩვეის სარდაფი გადაიქცა ქართველი ხალხის მუდმივ ბინათ, სადაც საშუალო საუკუნეთა ინკვიზიციის ტანჯვაში უნდათ დაიმორჩილონ მისი მედგარი სული და მუდმივი მონობის უღელი დაადონ თავისუფლების და მშვიდობიანობის მოყვარულ ერს.

განა კიდევ საჭიროა ქართველი მკითხველისთვის ჩვენი ხალხის უბედურებასა და ტანჯვაზე ლაპარაკი?!.. იქ, საქართველოში ამ უბედურებამ შეაკავშირა ერის სასიცოცხლო ძალები და დაპყრობის პირველ დღიდანვე ეს მთლიანობა არ დარღვეულა მიუხედავად მტრის გამუდმებულ იერიშებისა... საქართველოს მეგრძოლი პოლიტიკური პარტიები ჩვენი პარტიის მეთაურობითა და ცლით გაერთიანდნენ საერთო ფრონტში, რომელიც განხორციელებდა ერის ერთსულოვანი სურვილის, მისი ბრძანების და ისტორიული მოვალეობის ასრულების სამშობლოს წინაშე. მისი სახე გარკვეულია, მისი მიზანი აშკარა და ნათელია,—ბრძოლა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღსადგენათ...

ქართველი ერის სხვადასხვა ნაწილები გაერთიანებული ერთ მთლიან ფრონტში უცხო ძალის წინააღმდეგ დროებით ივიწყებენ შინაურ უთანხმოებას და აწარმოებენ სასტიკ ბრძოლას ტირანიის დასამხობათ და თავისუფალ დემოკრატიული მმართველობის აღსადგენათ. აქ კი ყოველი სოციალური კლასი თავის პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელობით კვლავ გააგრძელებს თავის ჩვეულებრივ საქმიანობას და განაახლებს ბრძოლას მის ინტერესების დასაცავათ.

სამწუხაროთ ზოგიერთი პირები გამოსული თავისუფალ პაერზედ, მოშორებული სამშობლო კერას, ივიწყებენ ქართველი მოქალაქის პირდაპირ მოვალეობას ერის წინაშე. ისინი დაბრმავებულნი, ჯგუფური და პირადული ყინიანობით ებრძვიან ერის ამ მთლიანობას და აარსებენ ჯგუფებს, სცემენ წიგნებს თუ განეთებს, რომლებშიც იციოთ რა სწერია?..

თქვენ იქ ვერ ნახავთ საერთო მტრის, ბოლშევიზმის საწინააღმდეგო ერთ სიტყვას. ქართველი ერის ტკივილებზედ გოდებას, ერის განთავისუფლების საშუალებათა ძებნას. თქვენ წინ გადაშლილია მხოლოდ დაბნელების, ცილისწამების, ქუჩური ლანძღვა-ვინების, ხელ-აღებული მუქარა—ჭორების და გარეტიანებული ბოდვის ფურცლები. ნიშანში ამოღებულია ჩვენი პარტია და მასთან ბრძოლა მიზნათა დასახლოვნი. ამ ვაჟბატონებმა სრულებით დაჰკარგეს პასუხისმგებლობის შეგნება და თავიანთ სანგრებიდან ყუმბარებს უშენენ მათ, ვინც დღეს საქართველოს სუვერენობის აღდგენის საქმეს თავგამოდებით ემსახურება და ვინც ათეული წლების განმავლობაში, ქართველ ხალხს წინ მიუძღვება...

ზოგიერთ გამდგარი პირების სიბოროტე და სიბეცე იქამდეც მიდის, რომ პანაშვიდს უხდიან რუსეთის დიდ-მთავარს და მის სახელსა და წარსულს დასტირიან...

მამ ვინ არიან ეს ვაჟბატონები?.. საით მიდიან?.. ვის ემსახურებიან?..

ჩვენ ღრმით გვწამს, რომ ვერც ალექსანდრე ასათიანების ცილისწამების და ლანძღვა-ვინების წიგნები და მათი ამეოლ-დამყოლნი, ვერც პარიზის ქუჩებში გამომცხვარი «პოლიტიკანები»-ს უსუსური ფურცლები ვერ შეარყევენ იმ წმინდა საქმის წინსვლას, რომელსაც ჩვენი პარტია მედგრათ ემსახურება და ერის სხვა საღ ძალებთან ერთად კვლავ მტკიცეთ და ერთსულოვნათ გააგრძელებს თავის ისტორიულ მოვალეობის ასრულებას საქართველოს დაკარგული თავისუფლების აღსადგენათ.

პ. ს.—მკ.

## ჩ ვ ე ნ ი მ შ უ ა ო ბ ა უ ხ ო მ ი თ შ ი

(მოკლე მიმოხილვა საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა (სფ.-დემ.)

ორგანიზაციის უცხოეთის წარმომადგენლობის მუშაობისა

მისი დაარსებიდან 1927 წლის ბოლომდე)

საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის წარმომადგენლობა უცხოეთში დაინიშნა 1922 წელს. მისი მოვალეობა იყო კავშირის გაბმა სხვადასხვა სოციალისტურ ორგანიზაციებთან და კერძოდ ახალგაზრდა სოციალისტთა ინტერნაციონალთან მუშაობა.

ამ დროს ახალგაზრდა სოციალისტური ინტერნაციონალი არ იყო გაერთიანებული; ახალგაზრდები შეკავშირებული იყვნენ ორ საერთაშორისო ორგანიზაციაში: მეორე და ვენის ინტერნაციონალში. მათ შორის უკვე არსებობდა ერთგვარი დაახლოება, რომელსაც შემდეგ ორგანიზაციული გაერთიანება უნდა მოჰყოლოდა.

საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა წარმომადგენლობამ უცხოეთში უმაღლესე გააბა კავშირი ორივე ინტერნაციონალთან და ხელს უწყობდა მათ გაერთიანების საქმეს. ამ მიზნით ის დაესწრო ზალცბურგში მომხდარ ორივე ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტთა კონფერენციას, და აქ ის გამოვიდა საჯარო სხდომაზე გაერთიანებისკენ მოწოდებით, რასაც კონფერენცია დიდი თანაგრძობით შეხვდა. ამვე კონფერენციასზე დაწერილიყო გაცხადებით ევროპიელ ამხანაგებს საქართველოს ორგანიზაციის მდგომარეობა, რის შემდეგ კონფერენციამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ორივე ინტერნაციონალის გაერთიანებული სხდომა პრეტესტს აცხადებდა ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპაციისა და იქ ტერორის გამეფების წინააღმდეგ და საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციას მსურველ სალამს უთვლიდა.

ზალცბურგში მოხდა ჩვენი გაცნობა. დაახლოება და დამეგობრება ახალგაზრდათა ინტერნაციონალის ხელმძღვანელებთან, ეს განწყობილება თანდათან გაძლიერდა სხვადასხვა შეხვედრების და მუდმივ მიწერ-მოწერის დროს შემდეგში. ჩვენ ვცდილობდით მუდმივი კონტაქტი გვექონოდა ევროპის ახალგაზრდა სოციალისტურ ორგანიზაციებთან, ვაწოდებდით მათ ცნობებს ჩვენი ორგანიზაციისა და კერძოდ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის შესახებ. ამ ცნობებს ჩვენ მუდამ გვთხოვდნენ ევროპიელი ამხანაგები და მათ თავის პრესაში ავრცელებდნენ. ამვე მიზნით ჩვენ ხშირად ვაკეთებდით მოხსენებებს გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში, შემდეგ საფრანგეთში. ამხ. მ. ხუნდაძე საგანგებოდ მიწვეული იყო ბელგიაში და ჩეხოსლოვაკიაში, სადაც მან რამდენიმე ქალაქში დიდ საჯარო კრებებზე გააკეთა მოხსენებები საქართველოზე და ბოლშევიზმის შესახებ. ახალგაზრდობა დიდი სიმპატიით უსმენდა ჩვენ წარმომადგენელს და გამოჰქონდა შესაფერისი საპროტესტო რეზოლიუციები. აგრეთვე იწერებოდა წერილები როგორც ინტერნაციონალის ორგანიზებში ისე სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდათა სოც. ორგანიზაციების პრესაში. საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ცენტრალურ კომიტეტის წერილი უცხოელ ამხანაგებისადმი, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ მივიღეთ, ინტერნაციონალის ორგანიზაციის პირველ გვერდზე დაიბეჭდა შემდეგი სათაურით «საქართველოს ტანჯვის გზა».

1923 წელს მოხდა ორივე ინტერნაციონალის გაერთიანება ჰამბურგის კონგრესზე. მან დაადასტურა ჩვენი ორგანიზაციის მიღება ახალგაზრდათა ინტერნაციონალში შემდეგი სახელწოდებით: «საქართველოს სოციალდემოკრატიული (ახალგაზრდა მარქსისტთა) ახალგაზრდების ორგანიზაცია».

ამ კონგრესზე ჩვენ გავგზავნეთ ოთხი კაციდან შემდგარი დელეგაცია, რომელმაც გასწია სერიოზული მუშაობა, როგორც კომისიებში ისე საჯარო კრებებზე გამოსვლებით.

— აქ კომუნისტებმა მიმართეს კონგრესს წინადადებით, რომ ისინი დაშვებული ყოფილიყვნენ კონგრესზე. კონგრესმა უარყო კომუნისტების წინადადება და აირჩია კომისია პასუხის შესამუშავებლათ. ამ კომისიაში სხვებთან ერთად არჩეული იყო ჩვენი წარმომადგენელი ამხ. მ. ხუნდაძეც. კომისიამ შეიმუშავა რეზოლიუცია, რომე-

ლიც კომუნისტების წინადადებას უარპყვოდა და ამას სხვათა შორის იმით ასაბუთებდა, რომ ახალგაზდა კომუნისტთა ინტერნაციონალი მონაწილეობას იღებს, იმ საშინელ დევნაში, რომელსაც განიცდიან როგორც რუსეთის ისე საქართველოს სოციალისტური მუშათა და ახალგაზდა სოც. ორგანიზაციები. ეს რეზოლიუცია კონგრესის მიერ ერთხმად იქნა მიღებული.

ჩვენი წარმომადგენლობის წინადადებით კონგრესმა მიიღო აგრეთვე სპეციალური საპროტესტო რეზოლიუცია ტერორის წინააღმდეგ იმ ქვეყნებში, სადაც გამეფებულია დიქტატურა, კერძოდ საქართველოსა და რუსეთში, და თავისი უღრმესი სიმპატიო გამოუცხადა ამ ქვეყნების სოციალისტურ ორგანიზაციებს.

ამავე კონგრესზე ჩვენმა დელეგაციამ გადასცა ბიუროს მოხსენება საქართველოს ახალგაზდა მარქსისტთა ორგანიზაციის შესახებ, იმ ცნობების მიხედვით, რომელიც ჩვენ მაშინ ცენტრალურ კომიტეტიდან მივიღეთ. ეს მოხსენება სიტყვა-სიტყვით დაიბეჭდა კონგრესის საანგარიშო წიგნში.

შემდეგი საერთაშორისო შეხვედრა მოხდა მარსელში 1925 წელს. აქ გაიმართა სოც. ახალგაზდათა ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტის სსდომა, რომელსაც დაესწრო ჩვენი წარმომადგენელი ამხ. ხუნდაძე.

ამ ეკუთხუთის „სსდომანზე“ ვაირჩა უმთავრესათ ორგანიზაციული კითხვები, განსაკუთრებით მომავალი კონგრესის და საერთაშორისო შეხვედრის შესახებ. იყო აგრეთვე მსჯელობა ომის საფრთხისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებებზე და სხვა.

მარსელის შეხვედრა იმით იყო საგულისხმო ჩვენთვის, რომ ძალიან ინტიმური განწყობილება ჩამოვარდა ეკუთხუთის წევრებსა და ჩვენს წარმომადგენელს შორის. უკანასკნელი დიდი შეხვედრა, რომელსაც ჩვენ დავესწარიით, იყო ამსტერდამის კონგრესი და ახალგაზდა სოციალისტთა საერთაშორისო დღე.

ამის შესახებ ჩვენ უკვე გამოვამბეჭდეთ ცნობები «ახალგაზდა სოციალდემოკრატის» პირველ ნომერში.

აქაც ჩვენ მივიღეთ მსურველი მონაწილეობა კონგრესის მუშაობაში. ჩვენი წარმომადგენელი მუშაობდა სამანდატო და საზავო კომისიაში. სამანდატო კომისიის სახელით მან მოხსენება გააკეთა საჯარო კრებაზე და იღებდა მონაწილეობას საერთო კამათში სხვადასხვა კითხვების შესახებ \*).

ბოლოს ავსტრიელების, რუსების და ჩვენი საერთო შეთანხმებით—შემუშავდა საერთო რეზოლიუცია ბოლშევიზმის და ომის საფრთხის შესახებ აღმოსავლეთში.

ამ რეზოლიუციაში ნათლათ არის გამოხატული საქართველოს დამოუკიდებლობის მხარის დაჭერა:

«ახალგაზდა სოციალისტთა ინტერნაციონალი თავის საქმეთ აცხადებს საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკის აღდგენის მოთხოვნას, რომელსაც სოციალისტური მუშათა ინტერნაციონალი დიდი ხანია იცავს».

ამგვართ ჩვენ მივადწიეთ იმას, რომ ახალგაზდა სოციალისტთა ინტერნაციონალი გამოდის, ისე როგორც მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალი, დამოუკიდებელ საქართველოს დამცველათ.

1927 წელს მოხდა მეორე საერთაშორისო შეხვედრა შტუტგარდში (გერმანია) ახალგაზდა სოციალისტთა ინტერნაციონალის 20 წლის არსებობის დღის აღსანიშნავათ. ამ დღეს დაესწრო და წარმოთქვა სიტყვა ჩვენი წარმომადგენლობის სახელით ამხ. ნ. იმხაიშვილმა.

ამსტერდამის კონგრესის შემდეგ ჩვენ, როგორც წინათ, მუდმივი კავშირი გვქონდა და გვაქვს ინტერნაციონალის ბიუროსთან. ჩვენ გადავუგზავნეთ მასალები ჩვენი ორგანიზაციის მდგომარეობის შესახებ და გადავეციეთ ჩვენი ცენტრალური კომიტეტის ამასწინათ მოსული წერილის შინაარსი. ამის შესახებ ჩვენ მივიღეთ ბიუროს სეკრეტარის წერილი, რომელშიაც ის თავის სიხარულს გამოსთქვამს ჩვენი ორგანიზაციის სიმტკიცის და გავლენის გამო საქართველოში.

რუს ამხანაგების და ჩვენი ინიციატივით ინტერნაციონალის ბიურომ გადასწყვიტა მიიღოს მონაწილეობა ინტერნაციონალის მიერ დაარსებულ კომისიაში რო

\*) იხ. ამსტერდამის კონგრესის ანგარიშები.

მელსაც ევალებოდა პოლიტიკურ დატყვევებულთა მდგომარეობის გამორკვევა. ჩემ ქვეყნებში, სადაც დემოკრატია არ არსებობს და ამის შესახებ ცნობების გავრცელება ბიურომ თავის წარმომადგენელთა გაგზავნა ამ კომისიაში ინტერნაციონალის თავმჯდომარე, კარლ ჰაინცი.

რაც შეეხება ქართველ დატყვევებულთა მძიმე მდგომარეობას და წამებას, ამის შესახებ ჩვენ დროზე მივაწოდეთ მასალები ინტერნაციონალის ბიუროს.

1927 წლის მაისიდან დელეგაცია პარიზის ახალგაზდათა ორგანიზაციის დახმარებით სცემს არა პერიოდულ გამოცემას «ახალგაზდა სოციალდემოკრატს», რომლის ოთხი ნომერი უკვე გამოვიდა და რომლის გამოცემა მომავალშიაც გაგრძელებულ იქნება.

აი მოკლეთ მთავარი ფაქტები რომელიც ახასიათებს საქართველოს ახალგაზდა სოციალდემოკრატთა (ახალგაზდა მარქსისტთა) ორგანიზაციის უცხოეთის წარმომადგენლობის მოღვაწეობას უცხოეთში და კერძოდ ახალგაზდა სოციალისტთა ინტერნაციონალში 1927 წლის ბოლომდე.

6 წლის განმავლობაში ჩვენ შევსძელით ჩვენი ქვეყნის კითხვის ფართო პროპაგანდა ევროპის ახალგაზდა სოციალისტთა წრეებში, ამ კითხვისადმი სიმპატიის მოპოვება და მეორე მხრით საპატიო ადგილის დაჭერა ახალგაზდა სოციალისტთა ინტერნაციონალში და მის ხელმძღვანელებთან დაახლოვება და დამეგობრება.

გასულ წელს საქართველოს ორგანიზაციამ ხელახლა აირჩია თავისი დელეგაცია უცხოეთში სამი პირისაგან, მის თავმჯდომარეთ დანიშნულია ჩვენი წარმომადგენელი ახალგაზდა სოციალისტთა ინტერნაციონალში—აშხ. მ. ხუნდაძე და მდივნათ აშხ. შ. ბერიშვილი.

დელეგაცია შეეცდება საქართველოს ორგანიზაციის დირექტივების თანახმად გააგრძელოს ჩვენი წარმომადგენლობის მუშაობა, ხელი შეუწყოს ჩვენს უფრო მეტ დაახლოვებას და დაკავშირებას ახალგაზდა სოციალისტთა ინტერნაციონალთან და მის სექციებთან და მეორე მხრით მიაწოდებს საქართველოს ორგანიზაციას სათანადო მასალას სოციალისტურ ახალგაზდაობის მოძრაობის და სულისკვეთების შესახებ.

საქართველოს ახალგაზდა მარქსისტთა ორგანიზაციის

უცხოეთის წარმომადგენლობა.



## ახალგაზდა სოციალისტთა საერთაშორისო შეხვედრა

### და კონგრესი ვენაში

(12—18 ივლისი 1929 წელი)

12, 13, 14 ივლისს ვენა არაჩვეულებრივ სანახაობას წარმოადგენდა. 50.000 ახალგაზდა სოციალისტი 21 ქვეყნიდან ჩამოსული წითელი დროშებით ხელში ენტუზიანზმით აღსაყვ მიმართავს საერთაშორისო დღესასწაულს სოციალისტურ იდეალის სადიდებლათ.

მიტინგი სასახლის წინ, სადაც ინტერნაციონალის და ავსტრიის სოციალდემოკრატიის წარმომადგენლებმა წარმოსთქვეს სიტყვები, მანიფესტაციები ქუჩებში, 50.000 კაცი დროშებით ხელში და სიმღერებით, ხოლო ღამე ჩირაღდნებით ვენის ერთ ბოლოდან მეორე ბოლომდე გავლა, მასიური წარმოდგენები სოციალისტურ შინაარსით—ყველა ეს აუარებელ შთაბეჭდილებას ახდენდა. ვენის მთელი მშრომელი ხალხი აღტაცებით მიეგება ახალგაზდაობას. გაოცებით უყურებდა მას აგრეთვე ბურჟუაზია, რომელსაც არ შეეძლო არ ეგრძნო, თუ რა ძალას წარმოადგენს დღეს სოციალიზმი.

ამ საერთაშორისო დღესასწაულს თან მოჰყვა ახალგაზდა სოციალისტთა ინტერნაციონალის კონგრესი, რომელმაც გასწია მეტათ საინტერესო და საყურადღებო მუშაობა.

კონგრესზე გამოვიდა სხვათა შორის მეტათ მგრძნობიარე და შინაარსიან მოხსე-

ნებით ავსტრიის სოც.-დემოკ. პარტიის ლიდერი ოტო ბაუერი. კონგრესზე გაიმართა საერთო პოლიტიკური კამათი და კერძოთ ბოლშევიზმის შესახებ.

ვენის დღესასწაულს და ახალგაზდათა სოციალისტურ ინტერნაციონალის კონგრესს დაესწრო საქართველოს ახალგაზდა მარქსისტთა ორგანიზაციის სახელით მისი უცხოეთის დელეგაციის თავმჯდომარე და წარმომადგენელი ახალგაზდა სოციალისტურ ინტერნაციონალში ამხ. მ. ხუნდაძე, რომელმაც მიიღო მონაწილეობა უმთავრეს (პოლიტიკურ) კომისიის მუშაობაში და ორჯერ გამოვიდა სიტყვით კონგრესის პლენარულ სხდომაზე.

კონგრესმა მიიღო სხვათა შორის მანიფესტი ახალგაზდა მუშებისადმი მიმართული, სადაც ფაშისმის გარდა ლაპარაკია ბოლშევიზმზე, როგორც სოციალისტურ განვითარების დამარბოკლებელ ძალაზე.

კონგრესმა მიიღო აგრეთვე ერთხმით რეზოლიუცია, სადაც ის თავის აღმფოთებას გამოსთქვამს ტერორის გამო როგორც ფაშისტურ ქვეყნებში, ისე რუსეთში და საქართველოში და მხურვალე სალამს უძღვნის ყველა ამ ქვეყნებში მებრძოლ სოციალისტურ ახალგაზდაობას.

დაწვრილებით ანგარიშს ვენის დღესასწაულის და სოც. კონგრესის შესახებ შემდეგ ნომერში მოვთავსებთ.



## დ ე მ დ კ რ ა ტ ი უ ლ ი გ ზ ი თ... ..

### 1. მუშათა მთავრობა ინგლისში.

ჩვენ საშვალეობა არ გვაქვს ფართოთ შევხვოთ იმ უდიდეს მოვლენის შეფასებას, რომელმაც ინგლისის მუშათა პარტია ხელისუფლების სათავეში მოაქცია; კონსერვატორიული მთავრობის სრულ უმოქმედობამ, მისმა რეაქციონურმა პოლიტიკამ შიგნით და გარეთ მოთმინებიდან გამოიყვანა ინგლისის მშრომელი ხალხი და ქვეყნის მართვა-გამგეობა ახალ საიმედო ძალას ჩააბარა. ინგლისში მუშათა პარტიის გამარჯვება დიდათ ხელს შეუწყობს მსოფლიო სოციალიზმის წინსვლას და მის სახელმწიფოებრივ მუშაობაში შეიტანს უდიდეს პრაქტიკულ ცოდნასა და გამოცდილებას. ომით დაქანცული და ზავის მაძიებელი ევროპა უდიდეს დამცველს იპოვის ინგლისის მუშათა მთავრობის სახით.

1924 წლის არჩევნებში გადამაღული ე. წ. ჟენევის პროტოკოლი იხილავს შჩის სინათლეს და ის ხელს შეუწყობს და განამტკიცებს საერთაშორისო მშვიდობიანობის და ზავის საქმეს, რომლის რეალური საფუძველი იქნება განიარაღების საკითხის რადიკალურად გადაჭრა...

მუშათა მთავრობა მოავარებს სარეპარაციო და ვალების საკითხს, რაც შესაძლებლათ გახდის გერმანია-საფრანგეთის დაახლოვებას და განამტკიცებს ევროპაში სოლიდარობის იდეას. ეს მთავრობა უთუოთ წასწვევს წინ ქვეყნის ეკონომიურ აღორძინების საქმეს და შეეცდება უმუშევრობის საკითხის სასურველად მოგვარებას, რაც მძიმე ტვირთად აწევს ინგლისის მუშათა კლასს და რაც სამართლიანათ აწუხებს მთელ საზოგადოებრივ აზრს...

მუშათა პარტიის გამარჯვება აგრეთვე უდიდესი სილის გარტყმაა არა მარტო ბოლდვინისა და მისი პარტიისათვის, არამედ საერთაშორისო რეაქციის მიმართ, რომელიც გათამამებული აქა-იქ ფაშისმის აზრდილით ისტერიულად გაპკიოდა სოციალიზმის დამარცხებაზედ...

მუშათა მთავრობა ცხადია აღადგენს საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულებას, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს ბოლშევიზმის ბატონობის გახანგრძლივების ხელის შეწყობას. პირიქით რეალური პოლიტიკა მუშათა პარტიის აუცილებლათ შეეჯახება მოსკოვის ჯიუტ და უხეშ ხელს, რომელიც მიჩვეულია სხვის საქმეებში ხელის ფათურს და უდაოა ვერ უღალატებს თავის ჩვეულებას, აქედან კი აშკარა გახდება ინგლისის მუშათა მთავრობისათვის მოსკოვის ნამდვილი სახე. როგორც უკანასკნელი ცნობებიდან სჩანს მაკდონალდი არც ისე ჩქარობს და მოითხოვს საბჭოებიდან წინასწარ მოლაპარაკებას და გარანტიებს პროპაგანდის აღსაკვეთად.

მოსკოვი კი ნერვიულობს, რადგან ის დეპეშით მოელოდა კავშირის აღდგენის მილოცვას... ეჭვს გარეშეა მოსკოვის ბნელი საქმეები ნათელი გახდა ევროპის მუშათა კლასისთვის, რომლის საუკეთესო მაგალითი სწორედ ინგლისის არჩევნებია, სადაც კომუნისტები სრულებით გაქრნენ პოლიტიკურ ასპარეზიდან და თავის ერთი ადგილიც კი დაჰკარგეს პალატაში. თუ ამ პარტიას საერთო გაფიცვების დროს ყავდა 12.000 წევრი, გასული წლის დამლევს ის უკვე 10.000-მდე ჩამოვიდა. მხოლოდ უკანასკნელი ცნობით მასში მხოლოდ 3.500-მდე წევრი ითვლება და მისი შემდეგი დაშლა პროგრესიულად გრძელდება.

მუშათა პარტიის გამარჯვების სურათი იმდენად ნათელია რომ არ მოგყვავს დაწვრილებითი ციფრები მისი ძალების შესახებ. 1924 წელთან შედარებით მუშათა პარტიამ მიიღო 3 მილიონზე მეტი ხმა და მოიგო 128 ადგილი, კონსერვატორებმა კი დაჰკარგეს 145 ადგილი.

ლიბერალური პარტია, რომელიც ოდესღაც უდიდეს როლს თამაშობდა ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში თანდათანობით კარგავს ნიადაგს და მისი 46 ადგილიდან 57-ზე ასვლა. აიხსნება მხოლოდ ნაწილი კონსერვატორების ამჩრჩევლთა ამ უკანასკნელებისადმი უკმაყოფილებით და სოციალიზმის სიძულვილით, — რომლებმაც მათ მისცეს ხმა. ლიბდ ჯორჯის იმედი, რომ ის შექმნიდა დიდ ოპოზიციას და თავის სურვილებს უკარნახებდა მუშათა მთავრობას არ გამართლდა. ამ უკანასკნელს აქვს 48 პროც. — ადგილების. მაშასადამე კონსერვატორულ-ლიბერალური ბლოკი მართალია დასაშვებია არითმეტიკულად, მაგრამ ის შეუძლებელია ფსინოლოგიურად და პოლიტიკურად, რადგან ის ვერ აიღებს ხელში მართვა-გამგეობის სადავეს მუშათა პარტიის ძლიერი ოპოზიციის გვერდით. მაშასადამე 1924 წლის კომბინაციების განხორციელება ლიბერალების მხრივ მუშათა მთავრობის ჩამოსადგებათ, თვით მათ შეუქმნის სახიფათო მდგომარეობას და მათ შერყეულ რიგებს კიდევ უფრო დააუსუსტებს, რადგანაც მუშათა მთავრობის მუშაობის პირობები გარდა მისი სიძლიერისა გაცილებით ხელსაყრელია დღეს ვინემ 1924 წელს იყო. ჰენდერსონის ოპტიმიზმი, რომ მუშათა მთავრობა 5 წელს იქნება ქვეყნის სათავეში სრულიად მოსალოდნელია და შესაძლებელი.

## 2. გერმანიის ხ.-დექ. პარტიის ყრილობა.

მიმდინარე წლის მაისში მოხდა ზემოხსენებულ პარტიის ყრილობა. მან უდიდესი ინტერესი გამოიწვია გერმანიის პროლეტარიატში. ამ ყრილობას უნდა შეეფასებია თავის წარმომადგენელთა მუშაობა მთავრობაში და პასუხი გაეცა ისეთ მწვავე კითხვისთვის, როგორიც არის სახელმწიფოს თავდაცვა და შეიარაღებული ძალა...

ჩვენ რა თქმა უნდა ფართეთ ვერ შევეხებით ამ უდიდესი პარტიის ყრილობის მეტათ მრავალფეროვან და ნაყოფიერ მუშაობას. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ კამათის დროს პარტიის მემარცხენე ფრთა სასტიკათ გაიმიჯნა კომუნისტებისაგან. ყველა მიმდინარეობის მიერ აუცილებლათ იქნა აღიარებული პოლიტიკური დემოკრატიის დაცვა და სასტიკი ბრძოლის წარმოების საჭიროება კომუნისტურ-ფაშისტურ-დიქტატურის წინააღმდეგ. პარტიამ საჭიროთ მიიჩინა რესპუბლიკანურ ჯარის არსებობა, რომლის დანიშნულებას შეადგენს რესპუბლიკანურ წყობილების და მისი ნეიტრალიტეტის დაცვა და აგრეთვე მუშათა კლასის პოლიტიკური და ეკონომიური მონაპოვარის. ამავე დროს პარტია მოითხოვს ჯარის დემოკრატიზაციას და იმუშავებს 10 მუხლისაგან შემდგარ მოთხოვნისებებს, რომელშიც გატარებულია ჯარის ხელმძღვანელობის სასტიკი კონტროლი და მისი მუშათა კლასის სახელმწიფოსთვის სასურველ და საღ ნიადაგზე დაყენება. პარტია აღიარებს კოალიციის გაგრძელების საჭიროებას, რადგანაც მუშათა კლასის ცოცხალი ინტერესები და მათი წარმომადგენლების მუშაობა მთავრობაში აუცილებელი პირობაა — რესპუბლიკის განმტკიცების და მუშათა კლასის მონაპოვარის დაცვისათვის...

პასელი.

## საქართველოს ახალგაზდა მარქსისტთა (ახალ. სოც.-დემ.)

### ოკუპაციის ცენტრალურ კომიტეტს.

ძვირფასო ამხანაგებო!

უცხოეთში გადმოხვეწილი სოციალდემოკრატიული ახალგაზდობა მსურვალეთ მოგესალმებით და გისურვებთ გამარჯვებას.

ამხანაგებო! საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლამ ბევრი თავდადებული მებრძოლი მოსტაცა ჩვენს რიგებს; ბევრი საუკეთესო ამხანაგი მოაშორეს სამშობლოს მიწა-წყალს და დღეს ისინი გამომწყვდეული არიან რუსეთის უთვალავ ციხეებში და გადასახლებულია მის მივარდნილ კუთხეებში და მრავალი კიდევ გადახვეწილი უცხოეთში. მიუხედავად ასეთი მძიმე პირობებისა ჩვენი სახელოვანი ორგანიზაცია სდგას მტკიცეთ და მამაცურათ თავის ღირსეულ პოსტზე სოციალდემოკრატიასთან ერთად და მისი ხელმძღვანელობით მედგრათ განაგრძობს ოკუპანტებთან ბრძოლას და მთელი თავისი არსებით ელტვის ბოლშევიკურ ტირანიის დამხობას.

ამის საუკეთესო მაგალითია ჩვენი ორგანიზაციის მიერ გაღებული მსხვერპლი და ჩვეის მუდმივი იერიშები მის მიმართ. მტრის სავალალოთ უსწორო ბრძოლაში დაღუპული და დაპატიმრებული ამხანაგების ადგილს ახალი კადრები იკავებენ და მით მისი რიგების სიმტკიცე და ბრძოლის უნარი ოდნავ ვერ შეიწეა ჩვეის სისასტიკემ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ რამდენიმეთ ჩვენი ორგანიზაციის სიმტკიცეს მიეწერება ჩვენი პარტიისა და ქართველი ერის ბრძოლის ენერჯია და გამძლეობა. ჩვენ გვწამს, რომ ჩვენი ორგანიზაცია უთუოთ გადააჭრელ როლს ითამაშებს ბოლშევიზმის ლიკვიდაციაში.

ჩვენ სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ის მეტათ მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ჩვენი ახალგაზდობა ფეხდაფეხ მიჰყვება ქართველი ერის მეთაურ სოციალდემოკრატიას და მისი შესვლულება ქართველი ერის გამანთავისუფლებელ მოძრაობაზე სავეტებით ეთანხმება საქართ. ს.-დ. პარტიის პოლიტიკურ ხაზს, რომელსაც ჩვენ აქ უცხოეთში გადმოხვეწილი ამხანაგები ვიზიარებთ და ვცდილობთ მის ცხოვრებაში გატარებას.

ჩვენ თქვენთან ერთად ვაღიარებთ, რომ «საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გარეშე შეუძლებელია ქართველი ერის კულტურული და ეკონომიური აღორძინება». ჩვენ ვფიქრობთ, რომ «მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენა მოუპოვებს ქართველ ერს შესაფერ ასპარეზს ნორმალური განვითარებისათვის და ის შეუქმნის მას აუცილებელ პირობებს მომავალ სოციალისტურ საზოგადოებაში შესასვლელათ».

აგრეთვე ჩვენ თქვენთან ერთად ღრმათ გვწამს, რომ «ქართველი ერის და მასთან ერთად საბჭოთა რუსეთის მიერ სხვა ჩაგრულ ერთა განთავისუფლება უდაოთ დაკავშირებულია მიმდინარე მომენტთან, — საბჭოთა წყობილების აუცილებელ დანგრევასთან და მის გარდატეხის ხანასთან, — რომელიც უნდა მოყვეს დღეს იქ გამეფებულ პოლიტიკურ და ეკონომიურ კრიზისს, მასების და კერძოთ ჩაგრული ერების რევოლუციონურ გამოსვლას».

ჩვენ ღრმათ გვწამს, რომ ამ სანატრელ ჟამს შესაფერისათ მომზადებული შესვდება ათეული წლების მანძილზე ბრძოლაში გაკაჟებული საქართველოს სოც.-დემოკრატია და მის გვერდით მებრძოლი ჩვენი ორგანიზაცია და საოკუპაციო რეჟიმის ნანგრევებზე დაამყარებს დემოკრატიულ წყობილებას.

ამ იმედით ამ ურყევ რწმენით, ჩვენ თქვენთან ერთად ვესალმებით რუსეთის მთელ სივრცეზე გაფანტულ ჩვენს ამხანაგებს და მეგობრებს და აგრეთვე მთლიანათ მებრძოლ ქართველ ხალხს და მის მეთაურს საქართველოს სოციალდემოკრატიას.

ამხანაგური. სალაშქრით საქართველოს ახალგაზდა სოციალდემოკრატიათა

პარტიის ორგანიზაციის სახელგადაც კრება.

პარიზი. მარტი, 1929 წ.

ჩვენი ყუბნალი ფონდი

მივიღეთ ოდენკურის ქართველთა კოლპერატიული სასაბილოს გამგეობისაგან ჩვენი გამომცემლობის ფონდის გასაძლიერებლათ ხუთასი ფრანკი (500 ფრ.). რედაქცია უღრმეს მადლობას უძღვნის, როგორც გამგეობას ისე მის წევრებს ასეთი უხვი შემოწირულებისათვის.